



მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალური ბიულეტენი

Official Bulletin for the Protection of New Varieties of Plants and Breeds of Animals



საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY
CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.gov.ge

გამოქვეყნების თარიღი

Date of Publication

2022 03 24

2(66)

ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის შესახებ მონაცემების ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებიდან 3 თვის განმავლობაში ნებისმიერ პირს აქვს უფლება საქპატენტს წარუდგინოს წერილობითი შეტყობინება: თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიში არ აკმაყოფილებს დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს; თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა არ არის საკმარისი ამ ჯიშის შესაფასებლად; თუ ცხოველის ან მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობაში შეტანილია ყალბი მონაცემები; თუ განაცხადში აღწერილ ცხოველის ან მცენარის ახალ ჯიშზე პრიორიტეტის მოთხოვნა სხვა ქვეყანაში ცხოველის ან მცენარის ამ ჯიშზე წარდგენილი განაცხადის მიხედვით საფუძველსაა მოკლებული.

Any person shall be authorized to present to Sakpatenti a written objection within 3 months from the date of publication the new breeds of animals or new varieties of plants data in the official bulletin: in case if the new breed of animal or new variety of plant does not meet the requirements of the criteria of protectability; if description of the new breeds of animals or new varieties of plants does not convey the complete impression for evaluation of the new breeds of animals or new varieties of plants; if the data given in the application are false; if the priority claimed for the new breeds of animals or new varieties of plants described in the application based on the application filed in other country is groundless.

განაცხადის ტიპის ასოითი აღნიშვნა

LETTER INDICATION FOR APPLICATION TYPE

P – მცენარის ახალი ჯიშის განაცხადის აღნიშვნა (Plant)

P – Indication of applications for new plant varieties (Plant)

(10) P 0000 000 A მცენარის ახალი ჯიშის გამოქვეყნების ნომერი (I პუბლიკაცია)
Number of published application for new plant varieties (I publication)

(11) P 0000 000 B მცენარის ახალი ჯიშის მოწმობის ნომერი (II პუბლიკაცია)
Number of Certificate for new plant varieties (II publication)

(21) P 0000 000000 მცენარის ახალი ჯიშის განაცხადის ნომერი
Number of application for new plant varieties

A – ცხოველის ახალი ჯიშის განაცხადის აღნიშვნა (Animal)

A – Indication of applications for animal breeds (Animal)

(10) A 0000 000 A ცხოველის ახალი ჯიშის გამოქვეყნების ნომერი (I პუბლიკაცია)
Number of published application for new animal breeds (I publication)

(11) A 0000 000 B ცხოველის ახალი ჯიშის მოწმობის ნომერი (II პუბლიკაცია)
Number of Certificate for new animal breeds (II publication)

(21) A 0000 000000 ცხოველის ახალი ჯიშის განაცხადის ნომერი
Number of application for new animal breeds

**მცენარეთა და
ცხოველთა ახალი
ჯიშების დაცვის
ოფიციალური
ბიულეტენი**

**Official Bulletin
for the Protection of
New Varieties of
Plants and Breeds of
Animals**

გამოქვეყნების თარიღი
Date of Publication
2022 03 24

2(66)

შ ი ნ ა ა რ ს ი

მცენარის ახალი ჯიშის განაცხადი

მარწყვი „ფლორიდას სილამაზე“ 3

რეგისტრირებული მცენარის ახალი ჯიშო

ზეთისხილის ხე „I-15“ 15

CONTENTS

APPLICATION OF NEW PLANT VARIETY

Strawberry Plant Named "Florida Beauty" 3

REGISTERED NEW PLANT VARIETY

Olive tree "I-15" 15

მცენარის ახალი ჯიშის განაცხადი

ჯიშის კატეგორია: მცენარე
განაცხადის გამომგვიყვანების ნომერი: P 2022 281 A
პირველი გამომგვიყვანების თარიღი: 2022 03 24 №2
განაცხადის ნომერი: P 2021 281
განაცხადის წარდგენის თარიღი: 2021 09 17

განმცხადებელი:

ფლორიდა ფაუნდეიშენ სიდ პროდიუსერს, ინკ.
3913 ჰაივეი 71, მარიანა, ფლორიდა, 32446 (US)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

მარკ ჰერინგტონი (AU);
ვენს მ. ვიტეკერი (US)

ჯიშის გვარი და სახეობა ძართულად და ლათინურად:

მარწყვი / *Fragaria×ananassa* Duchesne

ჯიშის დასახელება: ფლორიდას სილამაზე

ჯიშის მოკლე დახასიათება:

მარწყვის ახალი და განსხვავებული ჯიში (*Fragaria×ananassa*) მიღებულია ხელით განხორციელებული დამტვერვის შედეგად „AU 2010-119“-ს და „Florida Radiance“-ს შეჯვარებით მიღებული თესლებიდან. მარწყვის ახალი ჯიში, რომელსაც უწოდეს „ფლორიდას სილამაზე“, განსხვავდება ზრდის კომპაქტური ხასიათით, სტაბილური მოსავლიანობით, ყოველთვის გამორჩეულად კარგად ფორმირებული ნაყოფით, კრიალა წითელი ფერითა და განსაკუთრებული, ბალანსირებული გემოთი ცენტრალური ფლორიდის დასავლეთ ნაწილში ან იმ სუბტროპიკული კლიმატის სხვა რაიონებში მოყვანისას, რომლებიც წააგავს ცენტრალური ფლორიდის დასავლეთი ნაწილის კლიმატს.

APPLICATION OF NEW PLANT VARIETY

CATEGORY OF THE APPLICATION: PLANT
NUMBER OF PUBLICATION OF THE APPLICATION: P 2022 281 A
DATE OF THE FIRST PUBLICATION: 2022 03 24 №2
NUMBER OF THE APPLICATION: P 2021 281
DATE OF FILING OF THE APPLICATION: 2021 09 17

APPLICANT:

Florida Foundation Seed Producers, Inc.
3913 Highway 71, Marianna, Florida, 32446 (US)

PERSON WHO BRED, OR DISCOVERED AND DEVELOPED THE VARIETY:

Mark Herrington (AU);
Vance M. Whitaker (US)

COMMON NAME AND LATIN NAME OF THE GENUS AND SPECIES:

Strawberry / *Fragaria×ananassa* Duchesne

VARIETY DENOMINATION: Strawberry Plant Named “Florida Beauty”

BRIEF DESCRIPTION OF THE VARIETY:

A new and distinct variety of strawberries (*Fragaria×ananassa*), originated from seed produced by a hand-pollinated cross between “AU 2010-119” and “Florida Radiance”. The new strawberry, named “Florida Beauty”, is distinguished by its compact growth habit, steady yield, fruit that are exceptionally and consistently well-shaped, bright medium-red, and having an exceptional, balanced flavor when grown in west central Florida or other areas that have a subtropical climate similar to that of west central Florida.



ჯიშის აღწერილობა

I. ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

მარწყვი / *Fragaria×ananassa* Duchesne

II. განმცხადებელი:

ფლორიდა ფაუნდემენ სიდ პროდიუსერს, ინკ.
3913 ჰაივეი 71, მარიანა, ფლორიდა, 32446 (US)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

მარკ ჰერინგტონი (AU);
ვენს მ. ვიტეკერი (US)

III. ჯიშის დასახელება: ფლორიდას სილამაზე

IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამოყვანაზე და გამრავლებაზე:

მოთხოვნილი მცენარის გვარის და სახეობის ლათინური სახელწოდებაა
FragariaXananassa Duchesne.

ჯიშის სახელწოდებაა „ფლორიდას სილამაზე“.

მარწყვის ახალი და განსხვავებული ჯიშის, რომელსაც ეწოდა „ფლორიდას სილამაზე“, მოყვანისას ცენტრალური ფლორიდის დასავლეთ ნაწილში განსხვავდება ზრდის კომპაქტური ხასიათით და ერთგვაროვანად ფორმირებული და განსაკუთრებული გემოვნური თვისებების მქონე ნაყოფის სტაბილური მოსავლის პროდუცირების უნარით. გამრავლება ვეგეტატიური ხერხით ჩატარებული იყო ბალმში, ფლორიდას შტატში, სადაც განხორციელდა მცენარეების შერჩევა და ტესტირება. სარწმუნო აღწერისთვის ადარებენ ჯიშებს „Florida Radiance“ (U.S. Plant Pat. No.20,363) და „Florida 127“ (U.S. Plant Pat. No.25,574), რომლებიც ამჟამად წარმოადგენს დომინანტურ ჯიშებს ფლორიდის შტატის ჰილსბოროს ოლქში. სხვა ჯიშებთან შედარებით, ეს ახალი ჯიში უფრო მომგებიანია კომერციული თვალსაზრისით, ვინაიდან ირგვება უფრო ადრე, ხასიათდება ზრდის კომპაქტურობით, აქვს არომატული ნაყოფი, ერთგვაროვანად შეფერილია და აქვს ერთნაირი ფორმა მთელი საბაზრო პერიოდის განმავლობაში ფლორიდაში.

მარწყვის ეს ჯიში (გენოტიპი) მიღებულია სასელექციო ნაკვეთზე ბალმში, ფლორიდის შტატში. თესლის მშობლისეულ ფორმას – „AU 2010-119“, სელექციური ჯიშს, რომელიც არ არის ბაზარზე გატანილი შეუძლია საუკეთესო გემოს და ფორმის ნაყოფის მოცემა. ყვავილის მტვრის მშობლისეული ფორმა არის მარწყვის ჯიში „Florida Radiance“ (U.S. Plant Pat. No.20,363), ადრეული, მაღალი, სტაბილური მოსავლიანობით და დაბალი ვეგეტატიური სიმძლავრით. კონტროლირებული ჰიბრიდიზაციის შედეგად მიღებულ თესლებს აღივებენ სათბურში, ხოლო მიღებულ ნერგებს რგავენ და შვილეულ მცენარეებს უსქესო გამრავლების (ანუ ყლორტებით) საშუალებას აძლევენ. თითოეული ნერგიდან ორ შვილეულ მცენარის გადარგვას

ახორციელებენ ამაღლებულ კვალზე, სადაც ისინი მსხმოიარობენ. ჯიში „ფლორიდას სილამაზე“ (რომელიც წარმოდგენილია საწყისი ნათესარისგან ორი შვილეული მცენარით), ერთგვაროვანი ფორმის ნაყოფით ავლენს ზრდის კომპაქტურ ხასიათს და სტაბილურ მოსავლიანობას და ამიტომ შერჩეულია შემდგომი შეფასებისთვის. ჯიში „ფლორიდას სილამაზე“ შერჩეულია ნომრით 5, 121-ე შეჯვარებაზე 2012-2013 წწ ღივების საცდელი გამოცდისას და ამიტომ მინიჭებული აქვს სელექციური გამოცდის აღნიშვნა FL 12.121-5. ჯიში „ფლორიდას სილამაზე“ ყოველწლიურად მრავლდება ვეგეტატიურად ყლორტებით და შემდგომმა საცდელმა ნარგავებმა აჩვენა, რომ გამრავლებული მცენარეების ვეგეტატიური და სანაყოფე მახასიათებლები საწყისი შვილეული მცენარეების იდენტურია.

V. ჯიშის ნიშან-თვისებები:

ჯიში „ფლორიდას სილამაზე“, რომელიც მოყვანილია სუბტროპიკულ შემოდგომა-ზამთრის კლიმატში, განსხვავდება მარწყვის ყველა სხვა ჯიშისგან შემდეგი მახასიათებლების კომბინაციით: ზრდის კომპაქტური ხასიათით, სტაბილური მოსავლიანობით, ნაყოფის სტაბილურად კარგად ფორმირებით, კრიალა ზომიერი სიწითლით და განაკუთრებით ბალანსირებული გემოთი.

ჯიში „ფლორიდას სილამაზე“ მკვეთრად განსხვავდება მშობლისეული ფორმის მცენარეებისგან „AU 2110-119“. მაგალითად, ნაყოფის ზომა, რომელსაც იძლევა „ფლორიდას სილამაზე“ ნაკლებად ცვალებადია ნაყოფიანობის მთელი სეზონის განმავლობაში, „AU 2110-119“ მცენარეების მიერ პროდუცირებული ნაყოფის ზომასთან შედარებით. გარდა ამისა, ნაყოფის განვითარების და მომწიფების პერიოდში მცენარე „ფლორიდას სილამაზეს“ ფურცლები ცვივა უფრო სწრაფად, ვიდრე მცენარეს „AU 2110-119“. ფურცლების უფრო სწრაფად ჩამოცვენის გამო, მცენარე „ფლორიდას სილამაზის“ ნაყოფის ზედაპირზე ადგილი აქვს ტენის ნაკლებად შეკავებას, ვიდრე მცენარის „AU 2110-119“ მიერ პროდუცირებული ნაყოფის ზედაპირზე.

გამოსახულებების მოკლე აღწერილობა

მარწყვის ახალი ჯიში ილუსტრირებულია თანმხლები ფოტოსურათებით. გამოსახულებაზე 1 ნაჩვენებია 5 თვის ასაკის მცენარის ტიპური ნიმუში და ნაყოფი, როგორც ის გამოიყურებოდა 2016 წლის თებერვალში, ცენტრალური ფლორიდის დასავლეთ ნაწილში. გამოსახულებები 2-5 აჩვენებს მოთხოვნილი ჯიშის მცენარეების მიერ პროდუცირებულ ტიპურ ყვავილედს და ნაყოფის ნიმუშებს, რომლებიც იზრდება ზაფხულში სათბურის პირობებში, სადაც მნიშვნელოვნად უფრო თბილა, ცენტრალური ფლორიდის დასავლეთ ნაწილთან შედარებით, ნაყოფის პროდუცირების ოპტიმალურ პერიოდში ოქტომბრიდან შუა მარტამდე. წარმოდგენილი ფერები არის იმდენად ზუსტი, რამდენადაც ეს შესაძლებელია ჩვეულებრივი ფოტოგადაღებისას. გამოსახულებაზე 1 ნაჩვენებია მთელი მცენარეები, ფოთლების, ყვავილედების და ნაყოფის ჩათვლით, სიმწიფის სხვადასხვა სტადიაზე.

გამოსახულებაზე 2 ახლო ხედით ნაჩვენებია ყვავილედის ქვედა მხარე.

გამოსახულებაზე 3 ახლო ხედით ნაჩვენებია მოთხოვნილი ჯიშის მცენარის მიერ პროდუცირებული ნაყოფი, რომელიც მოყვანილია სათბურში ზაფხულის პირობებში. გამოსახულებაზე 4 ახლო ხედით ნაჩვენებია მოთხოვნილი ჯიშის მცენარის მიერ პროდუცირებული ნაყოფის განივი ჭრილი, რომელიც მოყვანილია სათბურში ზაფხულის პირობებში.

გამოსახულებაზე 5 ახლო ხედით ნაჩვენებია მოთხოვნილი ჯიშის მცენარის მიერ პროდუცირებული ნაყოფის სიგრძივი ჭრილი, რომელიც მოყვანილია სათბურში ზაფხულის პირობებში.

დეტალური ბოტანიკური აღწერილობა

აღნიშნული ბოტანიკური აღწერილობა ეხება მოთხოვნილი ჯიშის მცენარეს, რომელიც მოჰყავთ ბალმში, ფლორიდის შტატში, პროდუცირების ზამთრის სეზონში, უპირატესად არსებულ ეკოლოგიურ პირობებში (თბილი დღეები, ცივი ღამეები). ფერებს ობიექტურად აღწერენ $L^*a^*b^*$ ფერის სკალის გამოყენებით კოლორიმეტრის მეშვეობით.

***FragariaXananassa* Duchesne („ფლორიდას სილამაზე“) ფენოტიპური აღწერილობა**

მცენარე:

საშუალო სიმაღლე – 15 სმ;

საშუალო სიგანე – 25 სმ;

ზრდის ხასიათი – კომპაქტური, ნახევრად გაშლილი მცენარე, რომელიც არ არის ზედმეტად ხშირი;

კრონების რაოდენობა მცენარეზე – 4-დან 7-მდე, სეზონურ პირობებზე დამოკიდებულებით;

სიმძლავრე – დაბალიდან საშუალომდე.

ფოთოლი:

საერთო აღწერილობა – ფრთისებრი-რთული სამი ფოთოლაკით;

ჭრელფოთლიანობა – არ არის.

ყუნწი:

საშუალო სიგრძე – 15.5 სმ;

საშუალო დიამეტრი – 2.5 მმ;

ბუსუსიანობა – უმნიშვნელოდან საშუალომდე;

ბუსუსიანობის სიხშირე – ზომიერიდან მეჩხერამდე;

ბეწვების განლაგება – პერპენდიკულარული;

ტექსტურა – გლუვი;

ანტოციანინები – მინიმალური ან არ არის;

ფერი – ზომიერად ბაცი მწვანე ($L^*=58,9$, $a^*=-13,3$, $b^*=32,1$).

ღერაკი:

სიგრძე – ბოლო ფოთოლაკის 8 მმ; გვერდითი ფოთოლაკების 5 მმ;

დიამეტრი – 2 მმ.

თანაფოთოლი:

სიგრძე – 33 მმ;

სიგანე – 18 მმ, ყუნწის ფუძის მიმაგრების გაყოლებით;

ანტოციანინი – უმნიშვნელო ან არ არის;

ფერი – ბაცი მწვანე ($L^*=58.1$, $a^*=-17.2$, $b^*=13.0$).

ტერმინალური ფოთოლაკი:

საშუალო სიგრძე – 82 მმ;

საშუალო სიგანე – 69 მმ;

სიგრძე/სიგანის თანაფარდობა – 1.19;

ფორმა განივ ჭრილში – შეზნექილი;

ფერი, ზედა ზედაპირი – ზომიერად ბაცი მწვანე ($L^*=33.2$, $a^*=-11.6$, $b^*=14.5$);

ფერი, ქვედა ზედაპირი – ბაცი მწვანე ($L^*=54.4$, $a^*=-12.9$, $b^*=20.2$);

პრიალება – უმნიშვნელოდ პრიალა;

ძირის ფორმა – სოლისებრიდან ოდნავ მომრგვალებულამდე;

უმაღლესი წერტილის დახასიათება – მომრგვალებული;

ბუსუსობიანობის სიხშირე – მეჩხერი;

ტექსტურა – ზომიერად გლუვი;

გვირგვინის სურათი – ფრთისებრი.

მეორადი ფოთოლაკები:

საშუალო სიგრძე – 78 მმ;

საშუალო განი – 80 მმ;

სიგრძის სიგანესთან თანაფარდობა – 0.96;

ფორმა განივ ჭრილში – შეზნექილი;

ფერი, ზედა ზედაპირი – ზომიერად ბაცი მწვანე ($L^*=33.7$, $a^*=-11.7$, $b^*=14.8$);

ფერი, ქვედა ზედაპირი – ბაცი მწვანე ($L^*=54.4$, $a^*=-12.9$, $b^*=20.2$);

პრიალება – უმნიშვნელოდ პრიალა;

ძირის ფორმა – არასიმეტრიულად მომრგვალებული;

უმაღლესი წერტილის დახასიათება – ბლაგვბოლოიანი;

ბუსუსობიანობის სიხშირე – მეჩხერი;

ტექსტურა – ზომიერად გლუვი;

გვირგვინის სურათი – ფრთისებრი.

ფოთლის კიდები:

მრგვალებილა, საშუალოდ 22 დაკბილვით ტერმინალურ ფოთოლაკზე და 22 დაკბილვით მეორად ფოთოლაკზე.

სტოლონი:

შვილეული მცენარეების რაოდენობა – 20-30 გარემოს პირობებზე დამოკიდებულებით;

ანტოციანინი – ცვალებადი; უმნიშვნელოდან ზომიერამდე;

სისქე – 2-3 მმ;

ბუსუსიანობა – უმნიშვნელოდან ზომიერამდე;

ანთოციანი – არის;

ფერი – ბაცი მწვანე, იშვიათი ანთოციანინით ($L^*=47.2$, $a^*=-13.7$, $b^*=24.7$).

ყვავილელი:

ყვავილობის დრო – სრულ რემონტანტობამდე;

პოზიცია საბურველთან მიმართებაში – ყვავილები იხსნება საბურველის სიმაღლეზე ან ქვევით;

ყვავილედის განშტოება – კრონაზე ან მასთან ძალიან ახლოს;

ჯამის ფოთლების რაოდენობა ყვავილზე – 8-16.

ფურცლები:

რაოდენობა – 5-6;

სიგრძე – 12 მმ;

სიგანე – 12 მმ;

გვირგვინის საშუალო დიამეტრი (ანუ ფურცლები ერთობლივად) – 23 მმ;

მტვრიანების რაოდენობა – საშუალოდ 23;

ფურცლების ყვავილად განლაგება – თავისუფალი;

ფერი, ზედა ზედაპირი – თეთრი ($L^*=88.3$, $a^*=-1.2$, $b^*=5.3$);

ფერი, ქვედა ზედაპირი – თეთრი ($L^*=83.4$, $a^*=-1.2$, $b^*=6.3$).

ჯამი:

ჯამის დიამეტრი გვირგვინთან მიმართებაში – ჯამის დიამეტრი 25%-ით უფრო დიდია, ვიდრე გვირგვინის დიამეტრი;

ფერი – ზომიერად მწვანე ($L^*=44.8$, $a^*=-16.1$, $b^*=26.5$);

მიმაგრების პოზიცია – შემადლებული;

დიამეტრი – 23-51 მმ;

ადჰეზიის დონე – მტკიცე.

ყვავილის ყუნწი:

მიმაგრებულია მწიფე პირველად ნაყოფთან – სიგრძით 9.5-13 სმ, სეზონის დროზე დამოკიდებულებით. პროდუცირების პიკზე, მცენარეს აქვს რამდენიმე კრონა, სადაც თითოეული წარმოქმნის ყვავილედს და თითოეულ ყვავილედს აქვს 3-7 საყვავილე ყუნწი;

ფერი – ზომიერად მწვანე ($L^*=44.4$, $a^*=-12.8$, $b^*=23.8$).

ყვავილედის ყუნწი: ყვავილედების ტოტი მეტად ახლოა კრონასთან, რის გამოც ყუნწი იშვიათად ჩანს;

ანთოციანი – არის.

ნაყოფი:

ნაყოფის საერთო მასა – ოდნავ ნაკლებია "Florida Radiance" მასაზე (ცხრილი 1);

ფორმა – ზომიერად კონუსურიდან გულისებრ ფორმამდე;

დიამეტრი – 24-42 მმ;

მასა, პირველადი ნაყოფი – 27-37 გ;

მასა, მეორადი და მესამეული ნაყოფი – 10-23 გ;

ნაყოფის გემო – ჩვეულებრივ უფრო ტკბილია ვიდრე „Florida Radiance“ და მარწყვის

გემო არასოდეს არ არის „Florida Radiance“-ზე ნაკლებ ტკბილი და ჩვეულებრივ არ განსხვავდება „Florida127“ გემოსგან, რომელიც წარმოადგენს ამჟამად არსებული გემოს კომერციულ სტანდარტს ფლორიდაში (ცხრილი 2);

ხსნადი მყარი ნივთიერებების შემცველობა – 10.3% (ნაყოფი შეგროვილია თებერვალში, ბალმში, შტატი ფლორიდა);

ტიტრირებადი მჟავიანობა – 0.95% (ნაყოფი შეგროვილია თებერვალში, ბალმში, შტატი ფლორიდა);

ნაყოფის სიღრუე – იშვიათი;

ნაყოფის გულის ფერი – ბაციდან ზომიერად წითლამდე ($L^*=31.8$, $a^*=30.9$, $b^*=23.7$);

თესლურები – ოდნავ ჩაწეული, აძლევს ნაყოფს გლუვ შესახედაობას;

თესლურების რაოდენობა ნაყოფზე – 90-280;

თესლურას მასა – 0.78 მგ;

ზოლის სიგანე თესლურების გარეშე – 5-12 მმ;

ნაყოფის გარე ფერი – კრიალა წითელი ($a^*=39.1$);

ნაყოფის შიგა ფერი – ზომიერად წითელი ($a^*=17.4$);

ფერის ერთგვაროვნება – მუდმივად ერთგვაროვანია;

რბილობის და კანის სიმკვრივე სრული სიმწიფის სტადიაზე – ზომიერად მკვრივი;

წვიმით დაზიანება – წვიმით გაპობის მიმართ უფრო მდგრადია ვიდრე „Florida127“ და მდგრადობა „Florida Radiance“ მსგავსია;

განსხვავება ფორმაში პირველად და მეორად ნაყოფს შორის - კონუსურიდან სფერულამდე.

საერთო მოსავლიანობა: არ განსხვავდება „Florida127“-გან 2015-2016 წწ მოსავლის მიხედვით (სეზონი, ტემპერატურით საშუალო ტემპერატურაზე მაღალი, რომელთანაც „ფლორიდას სილამაზე“ ყველაზე კარგად არის ადაპტირებული დარგვის ტიპური ვადების ფარგლებში), მაგრამ მისი მოსავალი უფრო დაბალი იყო „Florida127“-თან და „Florida Radiance“-თან შედარებით 2014-2015 წწ. (შედარებით გრილი სეზონი) (ცხრილი 1).

დარგვის უპირატესი პერიოდი: 25 სექტემბერი – 5 ოქტომბერი ფლორიდის დასავლეთ-ცენტრალურ ნაწილში.

პროდუქტიულობა სანერგეებში: მოსალოდნელია, რომ „ფლორიდას სილამაზე“ კარგად გაიხარებს სანერგეებში, სადაც წარმოქმნის ყლორტების ზომიერ რაოდენობას, რის შედეგად მიიღება გამძლე კომპაქტური შვილეული მცენარეები, „Florida Radiance“ ჯიშისაგან განსხვავებით, სუსტი ყუნწებით, რომლებიც ადვილად ტყდება ამოღებისას ან დამუშავებისას.

მდგრადობა დაავადებების მიმართ: ისევე როგორც „Florida Radiance“, „ფლორიდას სილამაზე“ ზომიერად მგრძობიარეა ნაყოფის ნაცრისფერი სიდამპლის მიმართ (რომელსაც იწვევს *Botrytis cinerea*). „ფლორიდას სილამაზე“ ზომიერად მდგრადია ნაყოფის ანტრაკოზული სიდამპლის მიმართ (რომელსაც იწვევს *Colletotrichum acutatum*).

ცხრილი 1

მარწყვის სამი გენოტიპის პროდუქტიულობა 2014-2015 და 2015-2016 წწ. სეზონის განმავლობაში ბალში, შტატი ფლორიდა

სასაქონლო მოსავალი (გ/მცენარე)

გამოყვანილი ჯიშის	ნომერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი
2014-15				
F. Beauty	7.4 a	55.5 b	149.0 b	180.4 b
Florida127	0.0 b	95.8 a	212.7 a	288.4 a
F. Radiance	1.6 b	60.5 b	152.2 b	327.0 a
2015-16				
F. Beauty	39.6 a ^y	87.5 a	68.9 a	187.7 a
Florida127	16.7 b	75.3 a	38.2 b	139.4 a

სასაქონლო მოსავალი (გ/მცენარე)

გამოყვანილი ჯიშის	მარტი	საერთო	მასა/ნაყოფზე (გ) ^z
2014-15			
F. Beauty	209.6 a	601.3 b	22.3 c
Florida127	206.6 a	803.6 a	30.8 a
F. Radiance	210.9 a	749.7 a	25.0 b
2015-16			
F. Beauty	129.3 a	490.2 a	18.9 b
Florida127	129.4 a	411.9 a	21.5 a

^y საერთო მნიშვნელობები დამყარებულია 10-10 მცენარის ოთხ განმეორებაზე 2014-2015 თითოეულ წელს. სვეტებში საშუალო მნიშვნელობების განსხვავება დადასტურებულია ტიუკის HSD-კრიტიკულით $P \leq 0.05$. „Florida Radiance“ მცენარეები არ იყო ხელმისაწვდომი გამოცდებისთვის 2015-2016 წწ.

^z ნაყოფის საშუალო მასას საზღვრავენ საცდელ დანაყოფზე სასაქონლო ნაყოფის საერთო მოსავლის გაყოფით საცდელ დანაყოფზე სასაქონლო ნაყოფის საერთო რაოდენობაზე.

ცხრილი 2

მომზადებული სენსორული პანელით მიღებული შეფასებები მოსავლის აღების ორი სეზონის განმავლობაში ხუთი თარიღისთვის

გამოყვანილი ჯიშის	სიმტკიცე	სიტკბო	სიმჟავე	მარწყვის გემო	მწვანე მარწყვის გემო
იანვარი 2015					
F. Beauty	5.7 a ^z	5.9 a	4.5 a	5.1 a	1.8 a
Florida127	5.6 a	5.2 a	4.7 a	4.4 a	1.8 a
F. Radiance	4.9 a	4.9 a	4.5 a	4.1 a	1.6 a
თებერვალი 2015					
F. Beauty	6.6 a	5.2 a	4.8 a	4.3 ab	2.6 a
Florida127	5.5 a	5.4 a	4.2 a	4.8 a	1.9 a
F. Radiance	5.6 a	3.9 b	5.0 a	3.6 b	2.4 a
მარტი 2015					
F. Beauty	3.6 b	4.3 a	4.5 a	3.9 a	1.8 a
Florida127	4.5 b	5.0 a	4.5 a	4.3 a	1.8 a
F. Radiance	5.6 a	3.1 b	4.7 a	3.0 b	2.5 a
თებერვალი 2016					
F. Beauty	5.1 a	5.4 a	5.4 a	4.1 a	2.2 a
Florida127	4.7 ab	5.2 a	4.8 a	4.1 a	2.1 a
F. Radiance	4.0 b	4.8 a	5.4 a	4.1 a	2.2 a
მარტი 2016					
F. Beauty	5.3 a	3.9 a	6.3 a	3.8 a	2.6 b
Florida127	5.4 a	4.7 a	5.0 b	3.6 a	2.0 b
F. Radiance	5.9 a	2.8 b	6.9 a	2.0 b	4.0 a

ფორმულა

- ახალი და განსხვავებული მარწყვის მცენარე, აქ ილუსტრირებული და აღწერილის მიხედვით, ცენტრალური ფლორიდის დასავლეთ ნაწილში მოყვანის დროს ხასიათდება შემდეგით: (1) კომპაქტური ზრდა; (2) სტაბილური მოსავლიანობა; (3) ნაყოფი, რომელიც ყოველთვის და სტაბილურად კარგადაა ფორმირებული, კრიალა წითელი ფერით და განსაკუთრებული ბალანსირებული გემოთი.


^z საშუალო მნიშვნელობების განსხვავებები მოსავლის აღების თარიღების და სვეტების მიხედვით, მიღებულია ტიუკის HSD კრიტერიუმით, P ≤ 0.05.




გამოსახლება 1



გამოსახლება 2



გამოსახლება 3



გამოსახლება 4



გამოსახლება 5

რეგისტრირებული მცენარის ახალი ჯიში

ჯიშის კატეგორია:	მცენარე
რეგისტრაციის ნომერი:	P 2022 236 B
მეორე გამოქვეყნების თარიღი:	2022 03 24 №2
რეგისტრაციის თარიღი:	2022 03 09
განაცხადის გამოქვეყნების ნომერი:	P 2021 263 A
პირველი გამოქვეყნების თარიღი:	2021 11 25 №3
განაცხადის ნომერი:	P 2020 263
განაცხადის წარდგენის თარიღი:	2020 12 18

განსაკუთრებული უფლების მფლობელი:

ტოდოლივო ს.ლ.

C / ინჟენიერო ტოროჯა და მირეტი, პარცელა 22 პოლიგონო ინდუსტრიალ დე ლა ტორესილა, 14013, კორდობა (ES)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიშის:

დიეგო ბარანკო ნავერო (ES);

ხოსე მარია გომეს პორასი (ES);

ლუის რალო რომერო (ES);

კონსეფსიონ მუნიოს დიეს (ES);

კარლოს ტრაპერო რამირეს (ES);

პედრო ვალვერდე კაბალერო (ES)

ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

ზეთისხილის ხე / *Olea europaea* L.

ჯიშის დასახელება: I-15

ჯიშის მოკლე დახასიათება:

წარმოდგენილი ზეთის ხილის ხის ახალი და განსხვავებული ჯიშის მოცემულ ტექსტში მოხსენიებულია მისი სახეობის სახელწოდებით „I-15“. ის წარმოქმნის ვერტიკალურად მზარდ ხის ფორმას. იძლევა საშუალო ზომის ნაყოფს, რომელიც გამოირჩევა შავი შეფერილობით, მას თავი არ აქვს ან სუსტია. ახალი ჯიშის ნაყოფის კურკა საშუალო წონისაა.

REGISTERED NEW PLANT VARIETY

CATEGORY OF THE APPLICATION: PLANT
NUMBER OF REGISTRATION: P 2022 236 B
DATE OF THE SECOND PUBLICATION: 2022 03 24 №2
DATE OF REGISTRATION: 2022 03 09
NUMBER OF PUBLICATION OF THE APPLICATION: P 2021 263 A
DATE OF THE FIRST PUBLICATION: 2021 11 25 №3
NUMBER OF THE APPLICATION: P 2020 263
DATE OF FILING OF THE APPLICATION: 2020 12 18

TITLE HOLDER:

Todolivo S.L.

C/ Ingeniero Torroja y Miret, Parcela 22 Polígono Industrial de La Torrecilla, 14013, Córdoba (ES)

PERSON WHO BRED, OR DISCOVERED AND DEVELOPED THE VARIETY:

Diego BARRANCO NAVERO (ES);

Jose María GÓMEZ PORRAS (ES);

Luis RALLO ROMERO (ES);

Concepción MUÑOZ DÍEZ (ES);

Carlos TRAPERO RAMÍREZ (ES);

Pedro VALVERDE CABALLERO (ES)

COMMON NAME AND LATIN NAME OF THE GENUS AND SPECIES:

Olive tree / *Olea europaea* L.

VARIETY DENOMINATION: I-15

BRIEF DESCRIPTION OF THE VARIETY:

A new and distinct variety of olive tree, herein referred to by its cultivar name, 'I-15', is provided which forms an upright to spreading tree growth habit. Fruit with a medium weight is produced. The fruit exhibit black coloration and the fruit nipple is absent or weak. The stone of the fruit of the new variety is of medium weight.



ჯიშის აღწერილობა

I. ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

ზეთისხილის ხე / *Olea europaea* L.

II. განსაკუთრებული უფლების მფლობელი:

ტოდოლივო ს.ლ.

C / ინჟენიერო ტოროჯა და მირეტი, პარცელა 22 პოლიგონო ინდუსტრიალ დე ლა ტორესილა, 14013, კორდობა (ES)

პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

დიეგო ბარანკო ნავერო (ES), ხოსე მარია გომეს პორასი (ES), ლუის რალო რომერო (ES), კონსეფსიონ მუნიოს დიეს (ES), კარლოს ტრაპერო რამირეს (ES), პედრო ვალვერდე კაბალერო (ES)

III. ჯიშის დასახელება: I-15

IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამოყვანაზე და გამრავლებაზე:

აღწერილობა

ბოტანიკური / სავაჭრო კლასიფიკაცია:

ლათინური დასახელება: *Olea europaea* L.

ზოგადი დასახელება: ზეთისხილის ხე

ჯიშის დასახელება: I-15

მითითებები მონათესავე განაცხადებზე

აღნიშნული განაცხადით მოითხოვება პრიორიტეტი მცენარეთა სელექციონერების უფლებაზე განაცხადით, ნომერი 201811938, რომელიც შეტანილ იქნა ევროკავშირის მცენარეების ჯიშების ოფისში 2018 წლის 25 ივლისს და რომლის შინაარსიც მოცემულ აღწერილობაში შეტანილია მითითების სახით.

განაცხადის მოკლე შინაარსი

წინამდებარე განაცხადის მიხედვით, ზეთისხილის ხის ახალი ჯიში შეიქმნა კონტროლირებადი შეჯვარებით ესპანეთში, სადაც წინასწარ შესწავლილი ორი მშობელი შეაჯვარეს იმ იმედით, რომ მათი სასურველი თვისებები ექნებოდა. ახალი ჯიშის მდედრი მშობელი (ე.ი. მშობლის ფორმა) იყო „ARBOSANA“-ს ჯიში (დაუპატენტებელი). მამრი მშობელი (ე.ი. დამამტვერიანებელი) იყო „KORONEIKI“-ს ჯიში (დაუპატენტებელი).

წარმოშობის შეჯამება შემდეგნაირად შეიძლება:

„ARBOSANA“ x „KORONEIKI“

დათესეს ზემოაღნიშნული დამტვერვის შედეგად მიღებული თესლი და მიიღეს მცირე ზომის მცენარეები, რომლებიც ფიზიკურად და ბიოლოგიურად განსხვავ-

დებოდნენ ერთმანეთისგან. შერჩევითი კვლევის შედეგად მოხდა ახალი ჯიშის ერთი მცენარის იდენტიფიცირება.

ახალ ჯიშს აქვს იგივე „Arbosana“ ჯიშის პროდუქტიულობა და 5-ქულიანზე მეტი (%) ზეთის შემცველობა. მას ახასიათებს კარგი ხარისხის ზეთუნის ზეთი, რომელიც შედარებულია „Koroneiki“ ჯიშის ზეთუნის ზეთთან. ახალი ჯიში მწიფდება 1-2 თვით ადრე, ვიდრე მშობელი ჯიშები „Arbosana“ და „Koroneiki“, მოსავლიანობის ძალიან კარგი ეფექტურობით. ზრდის თვალსაზრისით ჯიშს აქვს დაბალი ძალა და კომპაქტური ფორმა, ისევე როგორც „Arbosana“ ჯიშს. არამშობელი ჯიში, რომელსაც ახალი ჯიში ყველაზე მეტად ჰგავს არის „Arbequina“. ახალ ჯიშს ზრდის დაბალი ძალა აქვს „Arbequina“ ჯიშთან შედარებით, რომელიც იდეალურია მექანიკური მოსავლის აღებისთვის. ასევე, ჯიშს აქვს 5%-ზე მეტი (%) ზეთუნის ზეთის შემცველობა, ხოლო „Arbequina“ ჯიშს აქვს 3 ქულაზე მეტი (%) ზეთუნის ზეთის შემცველობა.

აღმოჩნდა, რომ წინამდებარე განაცხადის მიხედვით ახალი ჯიში ფლობს მახასიათებლების შემდეგ კომბინაციას:

ა) აქვს ვერტიკალური ზრდის სპეციფიკა; და

ბ) აქვს საშუალო წონის ნაყოფი, რომელიც სრულ სიმწიფემდე არის შავი ფერის.

ახალი ჯიში კარგად აკმაყოფილებს მებაღეობის ინდუსტრიის საჭიროებებს. იგი ადვილად გამოირჩევა მსგავსი ჯიშებისაგან.

აღმოჩნდა, რომ ახალმა ჯიშმა ესპანეთში გაიარა ვეგეტატიური გამრავლება ვეგეტატიური ანაჭრებით. ესპანეთში ვეგეტატიური ანაჭრებით ვეგეტატიურმა გამრავლებამ აჩვენა, რომ ახალი ჯიშის მახასიათებლები სტაბილურია და მკაცრად გადამდებია მსგავსი ვეგეტატიური გამრავლებით ერთი თაობიდან მეორეში. შესაბამისად, ჯიში ექვემდებარება ვეგეტატიური გზით გამრავლებას. ახალ ჯიშს დაერქვა „I-15“.

გამოსახულებების მოკლე აღწერა

თანმხლები ფოტომასალა გვიჩვენებს, მაქსიმალურად მიახლოვებულად, რამდენადაც გონივრულად შესაძლებელია მიმსგავსება, მისი ხასიათის ფერადი ილუსტრაციით, ახალი ჯიშის მცენარეული ნაწილების ტიპურ ნიმუშებთან.

დეტალური ბოტანიკური აღწერა

დიაგრამა, რომელიც გამოიყენება ფერების იდენტიფიკაციისას არის The Royal Horticultural Society (R.H.S. Color Chart, 2007 გამოცემა), ლონდონი, ინგლისი. ტერმინოლოგია, რომელიც წინ უსწრებს სქემას, დაემატა შესაბამისი ფერის უფრო გავრცელებული ტერმინების მითითების მიზნით. აღწერა ემყარება მონაცემებს, რომლებიც შეგროვდა ოთხი წლის ნიმუშიდან 2019 წელს ვილაფრანკაში (კორდოვა, ესპანეთი).

V. ჯიშის ნიშან-თვისებები

მცენარე:

მიმართულება – ვერტიკალურიდან ფართო დიაპაზონამდე;
ენერგია – დაბალი – საშუალო;
ზრდის სპეციფიკა – ფართო დიაპაზონის;
სიმაღლე – საშუალო – 250 სმ;
სიგანე – საშუალო – 160 სმ;
განტოტვა – ფართო დიაპაზონამდე.

ფესვების სისტემა:

ფესვის მიმართულება – ნორმალური – მჭიდრო;
ტექსტურა – ბოჭკოვანი;
ფერის აღნიშვნა (ახალგაზრდა ფესვები) – 156D;
ფერის აღნიშვნა (ძველი ფესვები) – 157A.

მთავარი ღეროები:

რაოდენობა – დამოკიდებულია მენეჯმენტზე და გასხვლაზე;
ასპექტი – გლუვი;
ძალა – ძლიერი;
განივი კვეთა – მომრგვალებული, პატარა;
წრე (საშუალო) – 6 სმ, (დიამეტრი) 50 სმ-ზე;
ზედაპირის ტექსტურა (ახალგაზრდა ღერო) – გლუვი;
ზედაპირის ტექსტურა (მომწიფებული ღერო) – გლუვი ფორებით;
ფერის აღნიშვნა (ახალგაზრდა ფესვები) – 157A;
ფერის აღნიშვნა (ძველი ფესვები) – 157B;
ფორები – ბევრი, 1მმ სიგრძის, 0.5 მმ სიგანის;
კვანძთაშორისი სიგრძე (საშუალო) – მერყეობს 5-12 მმ.

გვერდითი ტოტები:

სიძლიერე – ძლიერი;
განივი კვეთა – ძალიან ძლიერი;
საშუალო სიგრძე – 80-180 სმ;
დიამეტრი (საშუალო) – 1.5 სმ;
კვანძთაშორისი სიგრძე (საშუალო) – 2-3 სმ;
ტექსტურა – გლუვი აწეული ხაჭოებით;
ასპექტი – გარეგნული;
ძალა – მოქნილი;
ფერის აღნიშვნა (ახალგაზრდა ტოტები) – 196D;
ფერის აღნიშვნა (მოწიფული ტოტები) – 197D;
მომწიფება – მოუმწიფებელი.

ვარჯი:

სიმკვრივე – ჯამის მოცულობა დაახლოებით 4.03 მ³;
ზედაპირის ტექსტურა – გლუვი;

ფერის აღნიშვნა – 198D;
წრე (საშუალო) – 6 სმ.

ფოთლები:

წყობა – მოპირდაპირე;
დანართი – ყუნწიანი;
დაყოფა – მარტივი.

დამარღველობა:

ნიმუში – ბუმბულისებრი;
ფერის აღნიშვნა (ღერძისკენ მიმართული ზედაპირი) – 193D;
ფერის აღნიშვნა (ღერძიდან მიმართული ზედაპირი) – 157A;
საშუალო სისქე – 1 მმ.

ფოთლის ფირფიტა:

საშუალო სიგრძე – საშუალო 52 მმ;
საშუალო სიგანე – საშუალო 13 მმ;
საშუალო სისქე – 1,5-2 მმ;
საერთო ფორმა – ოდნავ მოგრძო;
მწვერვალის ფორმა – წვეტიანი;
ბაზის ფორმა – სოლისებრი;
ასპექტი – სწორი;
ტექსტურა (ღერძისკენ მიმართული ზედაპირი) – გლუვი;
ტექსტურა (ღერძიდან მიმართული ზედაპირი) – მსუბუქად მომწიფებული;
ფერის აღნიშვნა – ახალგაზრდა ფოთლის ფირფიტა (ღერძისკენ მიმართული ზედაპირი) – 141B;
ფერის აღნიშვნა – ახალგაზრდა ფოთლის ფირფიტა (ღერძიდან მიმართული ზედაპირი) – 142B;
ფერის აღნიშვნა – მომწიფებული ფოთლის ფირფიტა (ღერძისკენ მიმართული ზედაპირი) – 143B;
ფერის აღნიშვნა – მომწიფებული ფოთლის ფირფიტა (ღერძიდან მიმართული ზედაპირი) – 142B;
ტალღოვანი არა;
ზღვარი – მთელი (გლუვი);
ზღვრული ტალღისებრი მოძრაობა – არ არსებობს;
სერაცია – არა.

ფოთლის ყუნწი:

ტექსტურა – გლუვი;
საშუალო სიგრძე – 2 მმ;
საშუალო დიამეტრი – 1,20 მმ;
ფერის აღნიშვნა – 142B;
ძალა – საშუალო.

ყვავილობა:

ტიპი – საგველა;
საშუალო სიგრძე – 2,5-6,5 სმ;
საშუალო სიგანე – 1-3 სმ.

ყვავილის ღერო:

საშუალო სიგრძე – 2,5-6,5 სმ;
საშუალო დიამეტრი – 1,2 სმ;
ტექსტურა – გლუვი;
ძალა – საშუალო;
ფერის აღნიშვნა – 141D.

ყვავილის ყუნწი:

საშუალო სიგრძე – 2 მმ;
საშუალო დიამეტრი – 1 მმ;
ტექსტურა – გლუვი;
ძალა – საშუალო;
ფერის აღნიშვნა – 141D.

ყვავილების კვირტი:

ფორმა – გლობულური;
საშუალო სიგრძე – 2-4 მმ;
საშუალო დიამეტრი – 2 მმ.

ყვავილი:

ტიპი – იდეალური;
ყვავილების რაოდენობა (თითო ყვავილობაზე) – 20-25;
ფორმა – ჯვარედინი;
საშუალო დიამეტრი – 3-6 მმ;
საშუალო სიმაღლე – 2-3 მმ.

ყვავილის ჯამი:

ჯამის ფოთლების რაოდენობა – 4;
წყობა – როტაცია;
საშუალო დიამეტრი – 1 სმ.

ჯამის ფოთლები:

შეერთებული ან შეუერთებელი – შეერთებული;
საშუალო სიგრძე – 1 მმ;
საშუალო სიგანე – 1 მმ;
ფორმა – საერთო – ზარის ფორმის;
ფორმა – წვერი – ბლაგვი;
ფორმა – ძირი – სოლისებრი;
ზღვარი – მთლიანი;

ტექსტურა – გლუვი;
ფერის აღნიშვნა (ზედა მხარე) – 18A1;
ფერის აღნიშვნა (გვერდით) – 18A1.

ფურცლები:

წყობა – მოძრავი;
ყვავილების რაოდენობა – 4;
შეერთებული ან შეუერთებელი – შეერთებული გვირგვინის ნახევართან;
საშუალო სიგანე – 2 მმ;
ფორმა – საერთო – ბასრი;
ფორმა – წვერი – ბასრი;
ფორმა – ძირი – სოლისებრი;
ზღვარი – მთლიანი;
ტექსტურა – გლუვი;
ფერი გახსნისას (ზედა ზედაპირი) – NN155D;
ფერი გახსნისას (ზედაპირის ქვეშ) – NN I 550;
ფერი, როდესაც მთლიანად გაიხსნება (ზედა ზედაპირი) – NN155D;
ფერი, როდესაც მთლიანად გაიხსნება (ზედაპირის ქვეშ) – DD155D;
ფერი დაჰკნობისას (ზედა ზედაპირზე) – არ ჰკნება;
ფერი დაჰკნობისას (ზედაპირის ქვეშ) – არ ჰკნება.

ანდროცემი:

მტვრიანა (საშუალო რაოდენობა) – 2;
მტვრიანას ძაფი (საშუალო სიგრძე) – დაახლოებით 0,75 მმ;
მტვრიანას ძაფი (ფერის დანიშნულება) – 17D1;
სამტვრე-დანამატი – ფუძით მიმაგრებული;
სამტვრე-ფორმა – ნახევარსფეროვანი;
ანტერი (საშუალო სიგრძე) – 1 მმ;
ანტერი (ფერის დანიშნულება) – 2A;
ყვავილის მტვერი – რაოდენობა – უხვი;
ყვავილის მტვერი – (ფერის აღნიშვნა) – 2A.

გინეციუმი:

ბუტკო – რაოდენობა – 1;
ბუტკო – დინგის ფორმა - კონუსის ფორმა;
ბუტკოს დინგი (საშუალო სიგრძე) – დაახლოებით 0.75 მმ;
ბუტკოს დინგი (ფერის აღნიშვნა) – 145D;
სტილი (საშუალო სიგრძე) – დაახლოებით 0.75 მმ;
სტილი (ფერის აღნიშვნა) – 145D;
ნასკვის მდებარეობა – ზედა;
ნასკვის ფორმა – მრგვალი;
ნასკვი (საშუალო დიამეტრი) – დაახლოებით 0.75 მმ;
ნასკვი (ფერის აღნიშვნა) – 145D.

ნაყოფი:

საშუალო წონა – 1.69 გ (საშუალო);
 საშუალო დიამეტრი – 14.5 მმ (საშუალო);
 საშუალო სიგრძე – 18 მმ (საშუალო);
 ფორმა – ოვოიდური;
 ნაკერი – არცერთი;
 ღეროს ღრუს ზომა – საშუალო;
 ღერო (საშუალო სიგრძე) – საშუალო;
 კალიბრის ზომა – საშუალო;
 ფორმა – ოდნავ წვეტიანი;
 ბუტკოს წერტილი – ბუნდოვანი;
 კანი (საშუალო სისქის) – 1 მმ-ზე ნაკლები;
 კანი (ზედაპირის ტექსტურა) – გლუვი;
 კანი (მტვრევისადმი მიდრეკილება) – არა;
 ფერის აღნიშვნა (მიწის ფერი) – 62D;
 ფერის აღნიშვნა (ხორცისფერი) – 158C;
 ფერის აღნიშვნა (ზედაპირი) – N77 A;
 ფერის აღნიშვნა (კურკა) – 144C;
 წვენის წარმოების აღწერა – შესანიშნავი ზეთის წარმოება;
 არომატის აღწერა – სხვადასხვა/შესანიშნავი;
 დამწიფება – საშუალო.

კურკა:

რაოდენობა – 1;
 ფორმა – კვერცხისებრი;
 ტიპი – ოდნავ ასიმეტრიული;
 ბოჭკოები – არც ერთი;
 საშუალო წონა – საშუალო 0,29 გ;
 საშუალო სიგრძე – საშუალო 14 მმ;
 საშუალო სიგანე – საშუალო 8 მმ;
 საშუალო სისქე – 8 მმ;
 ფორმა – წვერი – მომრგვალებული;
 ფორმა – ძირი – წაკვეთილი;
 ფერის აღნიშვნა – 1 62B;
 ტექსტურა – ოდნავ დაღარული;
 მუკრონი – არსებობს 2 (1-9 შკალა);
 ნაკერი – არსებობს 2 (1-9 შკალა);
 მხარეები – მრგვალი;
 კიდეები – არ არსებობს;
 დაყოფის ტენდენცია – არცერთი;
 ღარები – დაახლოებით 8 მარღვოვან-ბოჭკოვანი ღარი ერთგვაროვანი განაწილებით.

განვითარება:

ყვავილობა, ყვავილობის სეზონი – 1-10 მაისი;

მოსავლის აღების სეზონი – 7 თვე აყვავებიდან მოსავლის აღებამდე;

ნაყოფის გამოღების დრო – 3 წელი;

გაგრილების მოთხოვნები, პროდუქტიულობა – საშუალო ზეთისხილში;

სიმაგრე – ზეთისხილის ზეთის პროცენტი მერყეობს 20-24% შორის ნაყოფში;

მცენარის/ნაყოფის დაავადება, პესტიციდის მიმართ რეზისტენტობა – (მათ შორის, ლათინური დასახელება) რეზისტენტური Repilo-ს, Verticillium-ს მიმართ და ამტანი Tuberculosis-ს მიმართ;

გადაზიდვის ხარისხი, ხილის შენახვის ვადა, ხილის ბაზრის გამოყენება – ზეთი ინტენსიური ხილისა და ვაშლის მწვანე ფერის მქონე. მას აქვს ბანანის, ვაშლის და ნუშის ნაჭუჭის არომატი. ეს არის ტკბილი და დაბალანსებული გემოზე, ოდნავ მწარე და ოდნავ ცხარე.

ახალი ჯიში „I-15“ დღემდე არ არის დაცული გარემოს ყველა შესაძლო პირობებში. შესაბამისად, შესაძლებელია ფენოტიპური გამოხატვა გარკვეულწილად განსხვავდებოდეს სინათლის ინტენსივობისა და ხანგრძლივობის, კულტურული პრაქტიკისა და სხვა გარემო პირობების ცვლილებებით.



გამოსახულება 1



გამოსახულება 2



გამოსახულება 3



გამოსახულება 4



გამოსახულება 5



გამოსახულება 6



გამოსახულება 7



გამოსახულება 8



გამოსახულება 9

მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის
ოფიციალური ბიულეტენი

OFFICIAL BULLETIN FOR THE PROTECTION OF NEW VARIETIES OF PLANTS
AND BREEDS OF ANIMALS

№ 2(66)

ბიულეტენის ელექტრონული ვერსიის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ვებგვერდზე.

Electronic version of the bulletin is available on the website of the National Intellectual Property Center of Georgia "Sakpatenti".

მთავარი რედაქტორი: ნ. ბებრიშვილი
EDITOR-IN-CHIEF: N. Bebrishvili

დამაბადონებელი: ქ. სვანიძე
MAKER-UP: K. Svanidze

პოლიგრაფიული ჯგუფი: მ. მეჩიტაშვილი
POLYGRAPHIC GROUP: M. Mechitishvili
ი. გოგოლაშვილი
I. Gogolashvili
ლ. დოლიძე
L. Dolidze

ხელმოწერილია გამოსაცემად: 2022 03 23
Signed for Publication on:

ტირაჟი: 10
Print Run:

შეკვეთა №2
Order